ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2286 ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2286

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 6 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

ხუთშაბათს, 9 ოქტემბერს, 1903 წ. პირველი აბონიმენტი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

უბედური ნაბიჭი

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. შ. დადიანისა.

II

გაცრუებული იმედები

კომ. 2 მოქმ. ნ. აზიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ვ. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე. კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ქმართა სკოლა“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 8 ოქტემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ცარსკაია ნევესტა

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, მელნიკოვა, სელიუკ-როზნატოვსკაია, ლელინა და სხვანი. ბ-ნნი: რაისკი, დარსკი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, სანგურსკი, გრინევი გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.

ანონსი: 9 ოქტ. ფიგნერის მონაწილ.—„კარმენ“. ბიზესი; 10 ოქტ. „გუგენოტი“, მეიერბერისა. მზადდება წარმ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი

იღებს მთხოვნელთა და ყველა იმ პირთ, რომელთაც მასთან საქმე აქვს, რკინის გზების მმართველობის შენობაში, **ოთხშაბათობით** ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-მდე. (3—6.—2)

იბეჭდება ახალი გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებისა“

საქართველოს კალენდარი

ვალ. გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქმნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქმნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., ნახევარ გვ.—6 მან. წიგნის ბოლოში—1 გვ.—6 მან., ნახევ. გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში (Общество грамотности), ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტრ. ლაღიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქმნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე, გარდა საეკკლესიო ცნობებისა, აღნიშნული იქმნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილ იქმნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ-ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები. (10—6.—5)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქ. ქუთაისში

ექ მი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—6.—20)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

იაფ-ფასიანი

ქართული სამკითხველოები

„ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა“

პირველი—იმყოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში №32

მეორე—ვერაზედ ოლგას ქუჩაზედ, № 19

სამკითხველო დია არის ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. კვირა-უქმე დღით მხოლოდ 11—1 საათამდე. სამკითხველოში მოიპოვება გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალები. (უ. 3—2)

ნაფიცი ვექილი

გვაზავა

გადავიდა: ფრეილინის ქუჩაზე, № 15. (4—2)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საზღვარ-გარედ

იაპონია. ეხლა ყველა ომის მოლოდინში, ყველა შორეულ აღმოსავლეთისაკენ იცქირება და იაპონიისა და რუსეთის პოლიტიკას გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს. ინგლისი და ამერიკა, მეტადრე ინგლისი, იაპონიას მხარს აძლევენ და, რაც კი შეუძლიათ, საომრად აქეზებენ. ინგლისის პრესა იაპონელებს აგონებს, თუ გინდათ, რომ ნამდვილად დიდის სახელმწიფოს სახელი დაიმსახუროთ, უსათუოდ რუსეთს უნდა ეომოთო. რაც მალე დაიწყებთ ომს, ის ემჯობინება, რადგან რამდენიც ხანი გადის, რუსეთსაც იმდენი მეტი ჯარი მიჰყავს შორეულ აღმოსავლეთშიო. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ზოგიერთი ინგლისური გაზეთი სხვა თვალით უყურებს საქმეს და იაპონიას ომს არ ურჩევს: სჯობია, ეს ომი სხვა დროისთვის გადაიდოსო.

რუსულ გაზეთებს ისე იაპონელებზე და იმათ პრესაზე არ მოსდით ჯავრი, როგორც ინგლისის მთავრობასა და ინგლისურ პრესაზე. იაპონიის აღელვება სულ ინგლისის მზაკვარ პოლიტიკის ბრალიაო. 1900 წელს ინგლისი სამხრეთ-აფრიკის ომში იყო გაბმული, ამიტომ მაშინ რუსეთს მანჯურიის დაჭერა ვეღარ დაუშალა და მაშინდელი ჯავრი ეხლა უნდა ამოიყაროს და იაპონიის დახმარებით რუსეთი მანჯურიიდან განდევნოსო. ჩინეთის ომის შემდეგ ინგლისი სულ იმის ცდაშია, რომ იაპონია რუსეთს გადაჰკიდოს და აომოს. ისე ჭ მოხერხებულად იქცეოდა, რომ ეხლა ლამის თავის გულის საწადელს მიახწიოსო,—გულის წყრომით სწერენ რუსული გაზეთები.

შეერთებულ შტატებსაც დიდი ინტერესები აქვს მანჯურიასა და კორეიაში, ამიტომ ისიც დიდს ყურადღებას აქცევს შორეულ აღმოსავლეთის საქმეს. შეერთებულ შტატების პრესა ბეჯითად ურჩევს იაპონიას, ეცადეთ რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში ფრთები შეაკვეცოთო. ამერიკის პრესა ამასაც არა სჯერდება და მედგრად თხოულობს, ამერიკის მთავრობამაც დიდი დახმარება უნდა გაუწიოს იაპონიასაო. უმთავრესი ამერიკული გაზეთები სწერენ: მეტად მარჯვე შემთხვევაა, ამისთანა კარგის შემთხვევით ჩვენმა მთავრობამ უსათუოდ უნდა ისარგებლოს და შორეულ აღმოსავლეთის საქმეში გაერიოს. ვინ იცის, იქნება ასეთი მარჯვე წამი არას დროს აღარ დაგვიდგეს. დიდი ოკეანე „ამერიკის ტბად“ უნდა ვაქციოთ. თუ შეერთებული შტატები ეხლა რამე ღონეს არ იღონებენ და რუსეთს მანჯურიისა და კორეის დაჭერას არ დაუშლიან, დიდ ოკეანეშიაც უსათუოდ რუსეთი გაბატონდებაო.

შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრი ჰეი 10 ოქტომბერს (ახალის სტილით) ამ საქმეზე პრეზიდენტ რუზველტს სამჯერ ელაპარაკა და ჩინეთისა და იაპონიის წარმომადგენლებს ეთათბირა. ამას გარდა ჰეიმ იმავ დღეს ინგლისის რწმუნებული ოფიციალურად მიიღო და შორეულ აღმოსავლეთის საქმეზე ელაპარაკა.

◆ ინგლისელებს იმაზე უფრო ჯავრი მოსდით, რომ რუსეთი თავის დაპირებას აღარ ასრულებს და მანჯურიიდან ჯარი აღარ გაჰყავსო. 27 სექტემბერს ჯარის გაყვანის უკანასკნელი ვადა შეუსრულდა, მაგრამ რუსეთმა ეს არაფრად ჩააგდო და მანჯურიიდან ერთი ჯარის-კაციც არ გაიყვანაო. პირიქით, ყოველ დღე ახალ-ახალ ჯარსა ჰგზავნის. ინგლისში ეხლა დარწმუნდნენ, რომ რუსეთმა სამუდამოდ დაიჭირა მანჯურია. გაზეთი „გლობ“-ი სწერს: ეხლა ყველა ჰხედავს, რომ შორეულ აღმოსავლეთში დიდი ამბები მოხდება. იმის მაგივრად, რომ მანჯურიიდან ჯარი გაეყვანა, რუსეთმა უფრო მეტი ჯარიც ჩააყენა იქა და მანჯურიას სწორედ რკინის ჯაჭვი შემოავლო. რუსეთი და იაპონია ერთმანერთის პირის-პირა სდგანან. თუ ერთ-ერთმა არ დასთმო, აუცილებლად ომი ასტყდება. „გლობ“-ის აზრით, ყველა დიდი სახელმწიფო უნდა ეცადოს და ნიუ-ჩუანი უსათუოდ ხელიდან გამოჰგლიჯოს რუსეთს.

◆ რუსეთის ბატონობა მანჯურიაში ყველა დიდ სახელმწიფოს ჰკუაში არ მოსდის. ევროპიელები, ამერიკელები და იაპონელები ამბობენ, რუსეთმა სულ ტყუილად დაიჭირა მანჯურია, უამისოდაც იმდენი ადგილი უქირავს, რომ ვერც კი უვლისო. იაპონური გაზეთები სწერენ: რუსეთი ვერც თითონ სარგებლობს მანჯურიის სიმდიდრითა და არც ჩვენ გვიშვებს, რომ მანჯურიაში მრეწველობა გავაჩაღოთ, სოფლის მეურნეობა ავაყვავოთ და იქაური მადნები მოვიხმაროთო. ეს ხომ გუშინაც გვქონდა მოხსენებული. ეხლა ფრანგული გაზ. „ეხო დე ლა შინ“-იც ამტკიცებს, რომ რუსეთის ბატონობამ მანჯურიაში ვერაფერი სარგებლობა მოუტანა იქაურ ხალხსაო. გაზეთი სწერს: „მანჯურიის ხალხს დიდი შიმშილი მოელის. ყაჩაღები ხომ დღე და დღე მრავლდებიან და, ლამის, მთელი მანჯურია აიკლონ. დიდმა წვიმებმა და წყალ-დიდობამ მანჯურიაში გზები თითქმის სულ გაარხრა. სინამ წვიმები დაიწყებოდა, მანჯურიაში მოსავალს კაი პირი ჰქონდა, მაგრამ გამუდმებულმა წვიმამ ყველაფერი გაარხრაო. მანჯურები წლეულაც კვლავინდებურად ხის ფოთლითა და ქერქით უნდა გამოიკვებნენ.

◆ ჩინეთიც დიდის სასოებით უყურებს იაპონიას და მტკიცე იმედი აქვს, რომ იაპონია რუსეთის ჯავრს ამოჰყრის და მანჯურიას ისევ ჩინეთის იმპერატორს დაუბრუნებს. ამიტომ ბოლოს დროს ჩინეთი ძლიერ დაუმეგობრდა იაპონიას. ამის თაობაზე ინგლისური გაზეთი „ჯე პენ ტაიმს“-ი სწერს: „ჩინეთის მოწინავე ხალხი დარწმუნდა, რომ იაპონელები ჩინეთის მტკიცე მეგობრები არიან. ამიტომ დიდ-ძალი ჩინელი ახალგაზდობა იაპონიის უნივერსიტეტში მიდის სასწავლებლად; ჩინეთის მთავარ-მართებლებმა სამხედრო, თუ სამოქალაქო საქმეებისათვის ინსტრუქტორებადა და მრჩევლებად იაპონელები მიიწვიეს. იაპონელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ჩინეთი „პირს არ მოარიდებს“ თავის ერთად-ერთს გულითად მეგობარს სახელმწიფოს, რადგან ჩინეთის დამოუკიდებლობას ყველაზე გულწრფელად იაპონია იცავს.

ჩინეთისა და იაპონიის ურთიერთობაზე ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა იმავ ინგლისურ გაზეთში საინტერესო წერილი დაბეჭდა. ამერიკელი ჟურნალისტი სწერს:

„რუსეთს, ცხადია, მანჯურიისა, კორეისა, პეკინისა და მთელის ჩრდილოეთ ჩინეთის დაჭერა სწადიან. რუსეთის სურვილის გაქარწყლება ორის გზით შეიძლება. პირველი გზა—ომია. აზიაში ომისათვის იაპონია რუსეთზე კარგაა მომზადებული. იაპონია ხელად ბევრ ჯარს გაიყვანს ბრძოლის ველზე, რუსეთს კი მოუგვიანდება. იაპონია ბრძოლის ველს თავის ნებაზე აირჩევს, სადაც უჯობს, იქ დაიწყებს ბრძოლას. იაპონიას ჯარის მიყვანა და სურსათის ზიდვაც არ გაუჭირდება, რადგან კარგი გემები აქვს. ამას გარდა იაპონიას შეუძლიან რუსების წინააღმდეგ ჩინელები და კორეიელებიც მილიონობით შეაიარაღოს და თავიანთ საკუთარ მიწა-წყლის დასაცველად ჯარად გაიყვანოს. იაპონიას ინგლისი, თუ ჯარით არა, ზნეობრივ მაინც დაეხმარება, ამიტომ იმედია, რომ ამ ომში იაპონია გაიმარჯვებს. მაგრამ რუსების პლანის გაქარწყლება სხვაფრივაც შეიძლება: ჩინეთი თავის საკუთარ ინტერესების დასაცველად უნდა მომზადდეს. იაპონია ვერ მოიქცა კარგად, როცა 1900 წელს, ბოქსიორთა აჯანყების დროს, სხვა სახელმწი-

ფოებს მიუგო თვალი, ჩინეთს დაეცა და ამით ჩინელებს თავი შეაძულა. მაგრამ ეჭვი არაა, რომ ჩინელები მაინც იაპონიის საუკეთესო მეგობრები არიან. ეხლა იაპონიამ ევროპის სახელმწიფოებს თავი უნდა დაანებოს და ჩინეთს დაუმეგობრდეს. იაპონიამ უნდა გააგებინოს ჩინეთს, რომ იმის ადგილების წართმევა და დაჭერა გუნებაშიაც არ უდევს, პირიქით, უნდა ჩინეთს დახმარება გაუწიოს და რუსეთისაგან დაიხსნას. ჩინეთს ყველაზე ძლიერ რუსეთის პოლიტიკისა ეშინიან; ამიტომ იაპონიამ თავდაპირველად იმას უნდა დაატანოს ძალა, რომ ჩინეთმა კარგი ჯარი გაიჩინოს და პეკინის გზაზე სიმაგრეები ააშენოს. თუ იაპონიამ ესენი მოახერხა, მაშინ ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში რუსეთი ველარას გახდება. აი, ასეთ გზას უნდა დაადგნენ, ჩემის აზრით, იაპონიის სახელმწიფო კაცები“.

ახალი ამბავი

◆ ცნობილი ფრანგი მოგზაური და არქეოლოგი **ბარონ დე-ბაი** უკვე ჩამოვიდა ტფილისში და ჩამოხტა ორიანტის სასტუმროში. ამ დღეებში ბარონ დე-ბაი გაემგზავრება ქ. სოხუმში, საიდანაც ინახულებს აფხაზეთის სხვა და სხვა ღირს შესანიშნავ ადგილებს და ძველ ტაძრებს. მთავარს ყურადღებას მიაქცევს მოგზაური აფხაზთა ეტნოგრაფიულ აღწერას და აფხაზეთის საისტორიო ნაშთთა შესწავლას. ამ მოგზაურობას ბარონ დე-ბაი ერთ თვემდე მოანდომებს. ბარონ დე-ბაის საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროსაგან აქვს მინდობილი მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნს პლევეს უკვე განკარგულება მოუხდენია კავკასიის ადმინისტრაციამ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ფრანგმოგზაურს ამ მოგზაურობის დროს.

◆ რადგან ტფილისსა და ბაქოს შუა მიმავალ მატარებლის ვაგონიდან ვიღაც ქურდებს **დინამიტი მოუპარავთ**, რკინის გზის უფროსს განკარგულება მოუხდენია, აგენტებმა სავსებით დაიცვან ის წესები, რომელიც ასაფეთქებელ ნივთიერების გადაზიდვას შეეხება.

◆ დღეს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, აგრონომის სტაროსელსკის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნება საზოგადოების მიერ არჩეულ იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა **მეღვინე-მევენახეობის საჭიროებათა** შესახებ მოხსენებებისა.

◆ **სენატმა უყურადღებოდ დასტოვა** ტფილისის ქალაქის საბჭოს საჩივარი გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილებაზე. ეს დადგენილება შეეხება პოლიციელთათვის დამატებით ჯამაგირის დანიშვნას.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს **საფინანსო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზედ** განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შემოსავლის ორს უმთავრეს წყაროს. პირველი ის, რომ ქალაქის იმ თავისუფალ თანხებს, რომელიც სახელმწიფო ბანკის განყოფილებაშია შენახული, ისეთივე სარგებელი შემოაქვს, როგორც გამგეობა ამ 30 წლის წინად იღებდა. საქმე ის არის, რომ გუბერნატორმა ნება არ მისცა ქალაქის თვითმმართველობას, თავისი ფული კერძო ბანკებში შეენახა, თუმცა იქ 3 % იძლევდნენ, ხოლო სახელმწიფო ბანკში 1% მეტს არ იძლევიან. საფინანსო კომისიას შეუკრებნია ცნობები და აღმოჩნდა, რომ ბევრი ქალაქი რუსეთში ფულს კერძო ბანკებში ინახავს. ამას გარდა ახლად გამოცემულ საქალაქო დებულებით, რომელიც პეტერბურგშია შემოღებული, ქალაქებს უფლება ეძლევათ კერძო ბანკებშიაც იქონიონ თავისუფალი თანხები. ამის გამო კომისიამ საჭიროდ დაინახა, აღიძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისს ნება მიეცეს შემოსავლის წყაროს გასაძლიერებლად თავისი ფული მოათავსოს კერძო ბანკებში. ამავე სხდომაზე კომისიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქალაქის საყასბოდან ისეთი შემოსავალი ვერა აქვს ქალაქს, როგორიც მოსალოდნელია კარგ მეთვალ-ყურის ხელში. ქალაქის თვით-მმართველობას დღევანდლამდე არა ჰყავს ისეთი კაცი ან დაწესებულება, რომელსაც დავალებული ჰქონდეს თვალ-ყურის გდება ქალაქის შემოსავალ-გასავლის საქმეებისა. ისეთი დაწესებულება შეაჩერებს უსარგებლო საქმისათვის ფულის ხარჯვას და რამე საშუალებას იხმარს შემოსავლის გასაძლიერებლად. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, რომ ქალაქის გამგეობის მეოთხე ნაწილს, რომელსაც გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი მეთაურობს, განსაკუთრებით მიენდოს ქალაქის თვით-მმართველობის საქმეთა კონტროლობა.

◆ 4 ოქტომბერს ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორის თავმჯდომარეობით კრება ჰქონიათ ტეხნიკოსს მასწავლებლებს სახელოსნო განყოფილებისათვის სავალდებულო დადგენილებათა შესამუშავებლად. როგორც შეუმჩნევიათ, ამ ბოლო დროს მოსწავლენი გაუფრთხილებლობისა და სხვა მიზეზებისა გამო ხშირად შავდებიან მანქნებზე მუშაობის დროს. გუშინ დირექტორმა დადგენილებათა პროექტი გამგეობას წარუდგინა დასამტკიცებლად.

◆ შაბათს, 11 ოქტომბერს, გორში ქნ. მაკრინე ამირეჯიბის თაოსნობით გაიმართება **საცეკვაო საღამო** გორის საქალებო პროგიმნაზიის სასარგებლოდ.

◆ როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, მანთაშევის ნავთის ამხანაგობის კასიდან **ბათომში მოუპარავთ** 13,000 **მანეთი.** როდესაც კასირს გაუღია კასა, ეს ფული იქ აღარ დაჰხვედრია. კასას არავითარი ნაძალეობა არ ეტყობა, არც კლიტეა მოშლილი და არც არაფერი გატეხილია. როგორც ყველგან და ყოველთვის მიღებულია, ამ ქურდობის აღმოჩენისათანავე კანტორის დარაჯი შეუპყრიათ.

◆ დაინიშნა ბათუმის მომრიგებელი მოსამართლე გრაბოვსკი **ქალაქ ბათუმის ნოტარიუსად**, ხოლო სიღნაღის მომრიგებელ სასამართლოს მდივანი გროტკოვსკი ქ. ზაქათალის ნოტარიუსად.

◆ მინსკის გუბერნიაში წელს ნაკლები მოსავალი ყოფილა. რადგან საზრდოს გარდა დიდ-ძალი სიმინდი სჭირდებათ ამ გუბერნიის მცხოვრებლებს, მინსკის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სავაჭრო განყოფილების გამგეობამ სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, აცნობოს, კავკასიის რომელ ადგილებში შეიძლება სიმინდის შეძენა და რა ფასად. გუშინ საბჭომ უკვე გაუგზავნა ცნობები. სწერს, რომ დიდძალი სიმინდი მოჰყავთ იმერეთში, მაგრამ იქაც გასჭირდება სიმინდის შოვნა, რადგან დიდისა და ხშირის წვიმების გამო მოსავალი გაფუჭდა და ამას გარდა სიმინდის მარცვალს თეთრი ჭია ანადგურებსო. მოსავალი ისე ნაკლები იყო სიმინდისა, კვლავ თუ ფუთი 50 კაპ. ფასობდა, წელს 60—80 კაპ. გასჭირდება შოვნაო. სიმინდის მოყვანას მისდევენ აგრეთვე ტფილისის გუბერნიაშიაც, მაგრამ აქაც ფუთს სიმინდს 60 კაპ. ნაკლებ ვერ იშოვის კაცი.

◆ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნაკი „აქილიანი“**, ძველი ბერძნული ამბავი, თქმული ჰომიროს მიერ. წიგნაკი გადმოქართულებული და ნახატებით გამოცემულია კლდიას მიერ. ეს მხოლოდ პირველი კარია. წიგნი დასურათებულია და ღირს ორ შაურად.

◆ 4 ოქტომბერს პოლიციის მე-8 ნაწილში, რიყის ქუჩაზე, მანასოვის სახლში, ცემბირის ჭირისაგან გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქის 18 წლის ვაჟიშვილი კირილე ტრედიაკოვი.

◆ ნავთლუღში 6 ოქტომბერს ურმით მიდიოდა ალექსანდრე მანძულაშვილი, უცაბედად გადმოვარდნილა ურმიდან და თავი ისე მაგრად დაურტყამს ქვაზე, რომ იქვე გარდაცვლილა.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, სუმბათოვის ქუჩაზე, არუთინოვის სარასკიპო სახლს ცეცხლი გაუჩნდა 6 ოქტომბერს, საღამოთი. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

◆ გაბრიელის სახელობაზე არსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ელენე ჯინოვისა გვთხოვს დავბეჭდოთ: „უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქნ. ნ. ნაკაშიძისას, ნატ. ქავთარაძის ასულს და სიმონ ქვარიანს, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს წიგნები გაბრიელის სახელობაზე არსებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს“.

◆ შაბათს, 4 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 საათზე, ვერის ხიდთან გადავარდა მტკვარში ქალი, რომელიც აღმოჩნდა მეორე გიმნაზიაში კურს-დამთავრებული, გვარად ს—ვი. მენავეებმა დროზე გადაარჩინეს.

◆ სექტემბრის განმავლობაში ქალაქის საყასბოში დაუკლავთ სხვილ-ფეხა საქონელი 6992 სული, ხბო 401, ღორი 135 და ცხვარი 17847 სული. სიგამხდრისა გამო დასაკლავად არ მიუღიათ 2 ძროხა, 1 ხარი და 2 კამეჩი, ხოლო ავადმყოფობისა გამო—56 ძროხა, 3 ხარი და 3 ხბო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც გავიგეთ, ბ-ნს მიხაილოვს ქალაქ ოდესაში უშოვნია ერთი კაპიტალისტი, რომელიც კისრულობს თურმე თვითონ გააკეთოს თავისი ფულით ქუთაისში როგორც წყლისაყვანი, ისე ელექტრონული ტრამვაი; ამხანაგობის ეხლანდელ წევრთ კი სრულიად უნდა დაუბრუნოს მათგან შეტანილი წილის ფული და თანაც სარგებლად 4% მისცეს.

— ქალაქის გამგეობამ განიზრახა ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეებისათვის დააარსოს საპენსიო კასა. ამისათვის მან მიმართა სხვა და სხვა ქალაქების გამგეობათ და სთხოვა საპენსიო კასის წესდების გამოგზავნა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან მოსვლია გამგეობას საპენსიო კასის წესდების პროექტი.

◆ ქალაქის გამგეობა შეუდგა პოლიციის კოშკის დანგრევას, რომელიც ვაჭრობის შემდეგ 600 მანეთად გაიცა. როგორც ამბობენ, სამუშაოს ასე ძვირად გაცემის მიზეზი ისაა, რომ მოიჯარადრეს ფული მიუცია იმ პირთათვის, რომელთაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდოდათ, ისინი გადაუყენებია და სამუშაო თვითონ დაურჩენია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოშკის დარღვევა-აშენებისათვის მდგომარე წლის ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილია მხოლოდ 900 მანეთი. თუ მარტო დარღვევა 600 მანეთად ჯდება, ნეტა რამდენად უნდა დაჯდეს კოშკის ხელახალი აშენება?!

— ქუთათურ ყასბების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. როგორი ნიხრიც უნდა დაუდგინო მათ, რამდენიც უნდა სწერო იმათ თავგასულობის შესახებ—ისინი მაინც თავისას შვრებიან: მათთვის არ არსებობს არც ხორცის ხარისხებად დაყოფა, არც წონა. მთრეკალ საქონლისა და ადგილობრივის ხორცს ერთის ნიხრით ჰყიდიან. ამ ორის თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯელ შემხვდა ხორცის ყიდვა და ორივეჯერ მეორე ხარისხის ხორცში (ბეჭში) პირველი ხარისხის ხორცის ფასი გადამახდევინეს. როდესაც ამას მიშვრებიან მე, რომელმაც ვიცი, ხორცის რომელი ნაწილი რომელ ხარისხს ეკუთვნის და როგორა ღირს რას უზამენ ეს ვაჟბატონები იმ პირთ, რომელთაც ამის გაგება არა აქვთ! თუმცა მე ორსავე შემთხვევაში ოქმი შევადგენინე, მაგრამ ამით შეიძლება მათი აღაგმვა?! მხოლოდ თითო მანეთით დააჯარიმებენ! მეტი ყურის გდებაა საჭირო ქალაქის გამგეობის მხრით, თორემ მარტო ნიხრის გამოკვრით საქმეს არ ეშველება.

შინ და გარედ

19.

არ შემიძლია სიხარულითა და სრულის თანაგრძნობით არ აღვნიშნო ბათუმის საქალაქო გამგეობის ერთი ახალი დადგენილება.

გამგეობას, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, ნება დაურთავს, რომ მის სხდომებს გაზეთების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეს მეორე მაგალითია მთელს რუსეთში; პირველი მაგალითიც კავკასიაში მოხდა: სახელდობრ, ბაქოს ქალაქის თავმა, ბ-ნ ნოვიკოვმა, პირველად განიზრახა ესა და განახორციელა კიდეც.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი დადგენილება ბაქოსა და ბათუმის საქალაქო გამგეობათა სასარგებლო იქნება როგორც გაზეთებისათვის, ისე ქალაქის საქმეებისათვისაც. გაზეთებს შეძლება ეძლევათ დაახლოებით გაიცნონ საქალაქო მეურნეობისა და ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეები, მიუდგომელად და სიმართლით განსაჯონ ხოლმე თვითმმართველობის ყოველი ნაბიჯი და ამრიგად ქალაქის მმართველთაც გაუადვილონ ძნელისა და რთულის მოვალეობის ასრულება და მკვიდრთაც დაეხმარონ ქალაქის საქმეების რიგიანად გაცნობის საქმეში.

მეორეს მხრით, საქალაქო გამგეობა უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი უსამართლო და ტყუილ-უბრალო ბრალდებისაგან, რაც ხშირად ხვდება ხოლმე წილად ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებათ. რაც მეტი სინათლე იქნება შეტანილი თვითმმართველობის საქმეში, მით უფრო ნაყოფიერი იქნება მუშაობა ქალაქის მმართველთა და მით უფრო ნაკლებად შეხვდებათ მათ უაზრო დევნა და უადგილო დაცინვა...

არ გავაგრძელებ სიტყვას თავისუფალ კრიტიკის დიდ მნიშვნელობის შესახებ, რადგან ეს საანბანო ჭეშმარიტებაა დღეს ყველასათვის; მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო ერთი კარგი შედეგი, რომელიც უთუოდ უნდა მოჰყვეს ბაქო-ბათუმის გამგეობათა დადგენილებას.

როგორც იცით, ჩვენის მხრის ქალაქებში სულ სხვა-და-სხვა ერი ცხოვრობს. დიდ ქალაქებიდან მხოლოდ ქუთაისშია ერთგვარი ეროვნება—სამ მეოთხედზედ მეტი ქართველობაა, დანარჩენებში მეტად არეულია სხვა-და-სხვა ხალხი—ზოგან თათრობა სჭარბობს (ბაქო) ზოგან სომხობა (ტფილისი), ზოგან ქართველობა (ბათუმი) და სხვა; ამის მიხედვით, საქალაქო საბჭოებსა და გამგეობებშიაც სჭარბობს ერთის რომლისამე ერის წარმომადგენლობა, დანარჩენ ერთ-კი ნაკლები გავლენა აქვთ საქალაქო საქმეებზე. ამ გარემოებამ თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი იმ უთანხმოებასა და ბრძოლას, რომელიც არსებობს კავკასიის ერთა შორის საქალაქო თვითმართველობის სამოღვაწეო ასპარეზზე, ხშირად ერთი ერი (უმცირესობა) უნდობლად, ეჭვის თვალით უყურებს მეორე ერის (უმეტესობის) წარმომადგენლობას საბჭო-გამგეობაში; ხოლო ეს მეორე ერი სარგებლობს თავის გავლენიანობით და ცოტა არ იყოს სჩაგრავს უმცირესობას; სადაც-კი ეს არ არის, სადაც საბჭო-გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ეროვნებას და ყველას ინტერესებს მიუდგომლად და ერთნაირად იცავს, იქ მაინც არიან ელემენტები, რომელნიც განზრახ ამწვავებენ საქმეს ერთა შორის, სწამებენ უმრავლესობას მიდგომას, „პარტიონობას“, უსამართლობას.

სადაც საქმე ასეა გამწვავებული, იქ გაზეთების წარმომადგენელთათვის კარის გაღება დიდ სარგებლობას მოიტანს. რა-კი გამგეობის მთელი მოღვაწეობა საჯაროდ იქნება, ველიჩკოებსა და პალმებს აღარ შეეძლებათ ადვილად ათასგვარ უსამართლო ბრალდებისა და ტყუილების წამოროშვა ჩვენებურ თვითმართველობათა შესახებ. მეორეს მხრით, უმცირესობაც მეტის ნდობით დაუწყებს ყურებას საბჭო-გამგეობის მოქმედებას და ამასთანვე უმეტესობაც მეტის სიფრთხილით მოეპყრობა სხვა ერების ინტერესებს.

სწორედ ამიტომ ვეგებები განსაკუთრებულის თანაგრძნობით ბაქოსა და ბათუმის გამგეობის ახალს ნაბიჯს და სწორედ ამიტომვე ვისურვებ, რომ ტფილისის საქალაქო გამგეობამაც გადასდგას ეს თამამი, მაგრამ ძლიერ სასარგებლო, ნაბიჯი.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ სააპელაციო საჩივარი კიევის პალატის გადაწყვეტილებაზე ბებია-ქალის ფრუმკინისა, რომელსაც ჰბრალდებოდა კიევის ჟანდარმთა უფროსის გენერალ ნოვიცკის მოკვლის განზრახვა, სენატმა უყურადღებოდ დასტოვა.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ვიტებსკსა და დვინსკში და ამ ქალაქების მაზრებში შემოიღეს გაძლიერებულ დაცვის წესები.

◆ გზათა სამინისტროსთან ახლო მომავალში დაარსდება „რკინის ჯვრის საზოგადოება“, რომელსაც განყოფილება ექმნება ყველა რკინის გზის გამგეობასთან.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ვ. ვ. სალოვის თავმჯდომარეობით დაიწყო სხდომები განსაკუთრებულ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ადგილობრივ გზების გაყვანის თაობაზე და შეიმუშავოს წესდება ამ გზების თვალ-ყურის დევნებისა, შეკეთებისა და მოვლისა.

◆ ოდესის ქალაქის უფროსის უწყებებში გამოცხადებულია: სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების სახელოსნოებში 23 სექტემბერს მომხდარ გაფიცვის დროს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის მუშას დუბოვიცკის ქალაქის უფროსმა გადაუწყვიტა რვა დღით დატუსაღება.

◆ განკარგულებაა მინისტრისა, მიიღონ ნოვოროსიის უნივერსიტეტში ნორმას გარედ 26 ებრაელი.

◆ კიევის ქალაქის მოურავის შუამდგომლობა საერო განათლების მინისტრის წინაშე კიევის უნივერსიტეტში ნორმას გარდა 22 ებრაელ სტუდენტის ჩარიცხვის თაობაზე მინისტრმა შეიწყნარა.

◆ როგორც „ვოლგარი“ გვაუწყებს, ნოვგოროდის ვაჭრებმა ქალაქის საბჭოში თხო-

ვნა შეიტანეს ნოქრების შრომის შემცირების თაობაზე. ვაჭრები თხოულობენ, ნოქრებისათვის სამუშაო დღედ დაწესდეს 12 საათი, ამასთან 1/2 საათი საუზმისათვის და 1 1/2 საათი სადილისათვის უნდა მიეცესთო. კვირაუქმე დღეებში სავაჭროებიც მთელის დღით უნდა დაიკეტოსო.

◆ მინსკის გუბერნიიდან ამერიკაში ებრაელების გადასახლება საშინლად მატულობს. როგორც „ვარშ. დნ.“-ი იუწყება, ყოველ დღე გერმანიისაკენ გადის მატარებლით ათი მოსახლე ებრაელი. მიდიან როგორც ქალაქისა, ისე სოფლის მცხოვრებნი. უმეტეს ნაწილად იხიზნება პროლეტარიატი, მუშა ხალხი, რომელიც აქ ვერ ჰპოულობს სამუშაოს. ეს გადასახლება თვალ-საჩინოდ დაეტყო პატარა ქალაქებსა და დაბებს. მცხოვრებთა რიცხვის მცირდება.

◆ დაბ-ტავლოვაში ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის საქმე განიხილა ოდესის სასამართლო პალატამ. როგორც ოდესის გაზეთები გადმოგვცემენ, პალატამ 28 დამნაშავეთაგან 15 გაამართლა, 2 მიუსაჯა დაპატიმრება ერთს ათის თვით, მეორეს—ოთხის თვით, რვას განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და ერთის წლით დაპატიმრება, ერთს სატუსაღო რაზმში გაგზავნა 1 1/2 წლით. ზარალის შესახებ საჩივარი პალატამ უყურადღებოდ დასტოვა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

6 **ოქტომბერი**

ამ თვის 3-ს მუხრანიანთ ბორანი უნდა გაცემულიყო იჯარით, მაგრამ ორ მსურველთაგან ერთს 850 თუმანი შეუძლევია ქალაქისათვის საიჯარო ფასი წელიწადში. ეხლანდელი იჯარადარი ბუდაღოვი სთხოვს ქალაქს: მართალია, ჩემის იჯარადრობის დროს ჩემი მოვალეობა სრულად ვერ შევუსრულე ქალაქს, მაგრამ ამის ბრალი რამდენსამე ნაწილში ქალაქსაც ედებაო, რადგან ბორანი და ბორანზე მისასვლელი გზები ცუდ მდგომარეობაში იყო და ამან ბევრად მაზარალაო. ეხლა-კი ქალაქი ამ ნაკლულევანებას სპობს და ბორანიც ამ გვარად საუკეთესო მდგომარეობაში იქმნება, ამიტომ შემიძლია 11 ათასი მანეთად წელიწადში ავიღო სამის წლითაო და ჩემზე დარჩენილი ქალაქის საიჯარო ფული წარსულის დროისა და მომავალი საიჯარო ფულიც ყოველ თვის თავზე ქალაქს წინ-და-წინ ვაძლიოო.

რამდენსამე ხანს გასტანა ამ საგანზე კამათმა, ბოლოს საბჭომ დაადგინა: 3 ოქტომბერს მომხდარი ვაჭრობა არ დამტკიცდეს; ბორანი სამის წლის იჯარით მიეცეს ეხლანდელს იჯარადარს ბუდაღოვს 11 ათას მანეთად წელიწადში იმ პირობით, რომ როგორც საიჯარო, ისე მაზე დარჩენილი ქალაქის ფული ყოველ თვის თავზე ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს ბუდაღოვმაო, რომელსაც სამასი თუმანი და თვითონ ბორანი აქვს ბედ წარდგენილი ქალაქის წინაშე.

ქალაქს სურვილი ჰქონდა საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც კავკასიის მუზეისთან ერთად სამინისტროს ხელშია, იმის ხელში გადასულიყო. ამის შესახებ მიწერ-მოწერა გაიმართა და უკანასკნელად ქალაქის მოურავს აი რა პასუხი მიუღია სახალხო განათლების მინისტრისაგან ტფილისის გუბერნატორის პირით: ბიბლიოთეკას დავუთმობთ ქალაქს, თუ: ა) ბიბლიოთეკისათვის ქალაქი განსაკუთრებულს შენობას ააგებს თვისს ხარჯითა და ბ) მმართველი ბიბლიოთეკისა უნდა აირჩიოს სამინისტრომ და იმისსავე ხელ-ქვეითად ითვლებოდესო.

ქალაქის გამგეობამ შესაძლებლად ვერ სცნო ამ პირობებით საჯარო ბიბლიოთეკის მიღება და საბჭომაც დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

შარშან საბჭომ დაადგინა: სკოლათა გამგე კომისია 12 წევრთაგან იქმნეს შემდგარიო. როცა წელს გაზაფხულზე წევრების არჩევას შეუდგნენ, საბჭომ მხოლოდ 11 კაცი აირჩია და ამათგან ერთიც მთავრობამ არ დაამტკიცა. ამის გამო 6 ოქტომბრის სხდომას მოახსენა გამგეობამ და როგორც ინებებთ, ისე იქმნებაო, მაგრამ საბჭომ 10 წევრის რიცხვი სრულიად საკმარისად იცნო სკოლათა გამგე კომისიისათვის.

შრომათა სახლის სამზრუნველომ 1900 წელს სახლი შეიძინა ნიკოლაევსკი ქუჩაზე. ამ სახლზე ქალაქის შესაფასებელ გადასახადები თუ ჯარიმები ყოფილა დარჩენილი, სულ 3059 მანეთი. სამზრუნველო სთხოვს ქალაქს, ეს ვალი გვაპატიეთ და ამ გზით ხელი შეუწყეთ შრომათა სახლის არსებობის საგანსაო. ეს სათხოვარი ჯერ ცალკე კომისიას გაურჩევია და ამ სათხოვრის შესაწყნარებლად არავითარი საფუძველიც არ უპოვნია. გამგეობა სთხოვდა საბჭოს, შესაფასებელი გადასახადი დარჩეს და ჯარიმა-კი ეპატიოსო. საბჭომ შეიწყნარა ასეთი დადგენილება გამგეობისა და სამზრუნველოს ეპატია 1212 მანეთი შეწერილი ჯარიმები.

კავკასიის ნამესტნიკად ყოფილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის 50 წლის სახელმწიფო სამსახურის შესრულების გამო ქალაქის საბჭომ თავის დროზე 10 სტიპენდია დაჰნიშნა ტფილისის დედათა გიმნაზიებში მოსწავლე ქალთათვის. გუშინ-წინ საბჭომ დაამტკიცა სკოლათა გამგე კომისიის მიერ შედგენილი დებულება ამ სტიპენდიებისა: სტიპენდია მიეცემა ქალაქში მცხოვრებთა შეუძლო მოსწავლე ქალებს, წოდებისა, ხალხოსნობისა, თუ სარწმუნოების განურჩევლად; სტიპენდიის დანიშვნა ქალაქის გამგეობის საქმეა სკოლათა გამგე კომისიის წარმოდგენით; თითო სტიპენდია 75-დან 111-მანეთამდე იქმნება.

ქალაქის არქივარიუსი, კეპინოვი, სთხოვდა საბჭოს: 28 წელიწადია ქალაქს ვემსახურებოდი, ჯამაგირი მქონდა იმდენი, რომ მყოფნიდა თუ არა, ამ ხნის განმავლობაში მაინც შევაჩვიე იმას თავი და ამ ბოლო დროს-კი 15 თუმანი მომიჭრეს, რადგან დამფასებლობის თანამდებობა მოსპეს და ჩამომერთვაო. ქალაქის გამგეობაცა და საფინანსო კომისიაც თანახმანი იყვნენ კეპინოვს ეს 15 თუმანი იმის ნამსახურობისა ჯილდოდ დარჩენოდა, საბჭომაც დაამტკიცა ესა.

ქალაქის გამგეობაში მწერლად ყოფილა ვინმე დავიდენკო, დიდ-ხანს უმსახურია, ბოლოს ავადმყოფობის გამო სამსახურიდან დათხოვნილა და ფულით დახმარება უთხოვნია გამგეობა-საბჭოსათვის, მაგრამ არ დასცალდა თურმე საბრალოს და, სანამ იმის სათხოვარი საბჭოს მოხსენდებოდა, გარდაცვლილა კიდეც. გამგეობას ოთხი თუმანი მიუცია ავადმყოფისათვის და ექვსი თუმანიც დავიდენკოს დასაფლავებაზე დაუხარჯნია და ამ ათი თუმნის ხარჯის დამოწმებასა სთხოვდა საბჭოს; თუ ვინმე გამოჩნდა გაჭირვებული მემკვიდრე ამ დავიდენკოსი, ხელ-ახლა ვთხოვთ საბჭოს დახმარებასაო. საბჭომ დაამტკიცა როგორც ეს მოხსენება, ისე მეორეც: ვინმე ბოსიკოვს 6 1/2 წელიწადი დარაჯად უმსახურია გამგეობაში და, რაღაც უკმაყოფილებისათვის, დაუთხოვიათ სამსახურიდან და წვრილ ცოლ-შვილის პატრონი უადგილოდ დარჩენილა. ამას ხუთის თუმნით შემწეობა მისცეს.

თეატრი

საარტისტო საზოგადოების თეატრი. (დასასრული *). მაქსიმ გორკის მიერ დახატული სარდაფი თავისს გმირებით, ბინძურის იატაკით, ნოტიო კედლებითა და ბნელ კუნჭულებით, ჩემის აზრით, ძლიერი პროტესტია თანამედროვე წეს-წყობილების წინაამდეგ. ზემოდ უკვე ვთქვით, რომ ეს გმირები, „კაცობრიობის ნაძირალის“ სახელით მონათლულნი, არაფრით ნაკლებნი არ არიან ჩვეულებრივ ადამიანებზე, კარგის წრისა და საზოგადოების წევრებზეო. პირიქით, აბა კარგად დააკვირდით სარდაფის გმირებს: არტისტს, უდარდელ მექუდეს ბუბნოვს, თათარს, ფეხ-შიშველა, მხიარულ ალიოშკას, ნასტიას, ავადმყოფ ანნას, ქურდსა და ჯიბგირს ვასკა პეპელს, ახალგაზდა, სიცოცხლით აღსავსე ნატაშას, თუ ყველას ხასიათში არ აღმოაჩინოთ გულ-კეთილობა, ერთმანეთისადმი თანაგრძნობა, გაჭირვებულის და დავრდომილის მიმართ სიბრალული, თავისუფლების სიყვარული. აბა, ყური დაუგდეთ, რა იდეალურის სიყვარულით უყვარს ქურდ ვასკა პეპელს ნატაშა. როგორ გულწრფელად ეფიცება, მთელ ჩემ სიცოცხლეს შემოგწირავ, თავს დავდებ შენთვის, ავ-კაცობაზე ხელს ავიღებ და პატიოსნურად ვიშრომებო. ცრემლებს მოჰგვრის კაცს აქტიორის გაჭირვება: გულითა და სულით უნდა მოიგონოს ის მონოლოგები, რომლითაც წინად ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ ვერ მოუგონია. სიმშვენიერისადმი სიყვარული ჯერ ისევ გულში აქვს ჩარჩენილი ამ ოდესღაც არტისტს. გორკის პიესის გმირების კაცობა და ადამიანობა ყველაზე ნათლად მაშინა სჩანს, როდესაც სარდაფში მოულოდნელად ჩნდება ლუკა, ეს წარა-მარად მოხეტიალე, მაგრამ მადლიანი და გულ-კეთილი კაცი. ამ ლუკამ თავის მოსიყვარულე გულით და ძმურის დარიგებებით ბნელი სარდაფი გაანათა. იმის სიტყვების გავლენით ყველამ განახლებასა და ფეხზე წამოვომაზე დაიწყო ფიქრი, ყველას მოუნდა სარდაფიდან გაქცევა და ადამიანურ ცხოვრების ხელ-ახლად აწყება. ზემოდ ნათქვამთან ერთად გორკის პიესის გმირებს საკმაო ჯანი და ღონე კიდევ მოეპოვებათ და შრომა თუ ეხლა აღარ, წინად მაინც უყვარდათ.

მაშ რამ მიიყვანა ეს გმირები სარდაფის კარებამდე, რამ დააბინავა იქ და ასეთ ცხოვრების ფერხულში ჩააბა? აშკარაა, იმ სოციალურმა განწყობილებამ, კაცთა შორის დამყარებულმა ურთი-ერთობამ, რომლის მეოხებითაც ზოგი სულ ადვილად, ხშირად უშრომოდ და უწვალებლად, ასკუპდება ხოლმე ცხოვრების კიბის ზემოსაფეხურზე, ზოგს კი ამ კიბის ახლო მისვლაც უძნელდება. ულმობელია ცხოვრების კანონი. ერთხელვე სარდაფში მოქცეული ადამიანი ძნელად თუ შესძლებს ფეხზე წამოდგომას, წელში გასწორებას და უწინდელ ცხოვრების განახლებას. დღევანდელი სოციალური ურთიერთობა აუცილებელ მსხვერპლებს თხოულობს და ასეთი მსხვერპლები არიან სარდაფების მკვიდრნი. აქ საქმეს ვერ უშველის ვერც ქველმოქმედება, ვერც დარიგება-სწავლება და ვერც სხვა რამ. საჭიროა ძირიან-ფესვიანად შეცვლა თანამედროვე ურთიერთობისა, სოციალურ წყობილებისა და მაშინ გორკის გმირებიც მოისპობიან. შეიძლება ზოგმა იფიქროს, ლუკა რომ დიდ ხანს დარჩენილიყო სარდაფში, ბევრ იქაურ მკვიდრს სწორე გზაზე დააყენებდა და სარდაფიდან გამოიყვანდაო. შემცდარი აზრია: ათი წელიწადიც რომ დარჩენილიყო, იმის სიტყვებსა და მოქმედებას ასეთი შედეგი არ მოჰყვებოდა. თუნდაც რომ მოჰყოლოდა, წასულების ადგილს სხვა ბედკრულნი დაიჭერდნენ. სოციალურ კანონის წინააღმდეგ უგულკეთილეს ლუკასაც არა ძალუძს რა.

„ნა დნე“ გორკისა დრამატიული ნაწარმოები არ არის. დრამისთვის ჯერ ისევ ძველად ბერძნებმა შეიმუშავეს განსაკუთრებული კანონები. გორკის პიესა ამ კანონებს სრულიად არ ემორჩილება. „ნა დნე“ უბრალო სცენებია, ნიჭიერად, მადლიანად დაწერილი სცენები. აშკარად ეტყობა რომ იგი დილიტანტს, გზად გავლილ ან კიდევ სარდაფში იქაურ მკვიდრთა შესასწავლად შესულ კაცს კი არ დაუწერია, არამედ სარდაფის მკვიდრთა ყოფაში ჩავარდნილ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის სული და გული „ბოსიაკისა“, ღოთისა და ძმათა მათთა.

კრასოვის დასმა ეს პიესა კარგად წარმოადგინა. ახალი დეკორაციები, როლების რიგიანად მომზადება, არტისტების დაფიქრებული თამაშობა, ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ავტორის განზრახვა განეხორციელებინათ.

სასამართლო

დღეისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სახელოსნოების მუშებისა: ივანე მანჯგალაძისა, სელივან სტურუასა, ნორაკიასა, ბატუთველისა, ბონდარენკოსი, კახაძისა, პავლე სტურუასა, სანოკოიანცისა და ფედორენკოსი. ბრალად ის ედებათ, რომ ამ წლის 16 ივნისს, ტფილისში, მუშების მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს და ავჭალის ქუჩაზე კაზაკებს წინააღმდეგობა გაუწიეს. სასამართლოში ბრალდებულთ იცავენ ნაფიც ვექილის თანაშემწენი გრ. რცხილაძე, ნ. ელიავა, კ. ჯაფარიძე, თავ. ი. ბარათაშვილი, მზარეულოვი და ნაფიცი ვექილები ხომენტოვსკი და ნიკოლაი. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, ეს საქმე ხალხის დაუსწრებლად უნდა გაირჩეს.

II

7 ნოემბერს გორში განხილულ იქმნება ოლქის სასამართლოს მიერ საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის იმ მუშებისა, რომელთაც სადგურ ხაშურში უწესოების მოხდენა და პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებათ.

III

ხვალ, 9 ოქტომბერს, ტფილისიდან შულავერ მიემგზავრება ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის მაიგურისა, წევრის ტარსაიძისა და მდივნის თანაშემწეების ბ. რატიშვილისა და ა. გეგეჭკორისაგან. სესიას, რომელიც შულავერში 18 ოქტომბრამდე დარჩება, განსახილველი აქვს 20 საქმე.

IV

ხვალისთვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ისხაკ ჯანაშვილი ა, რომელსაც სიყალიე ჰბრალდება, სტეფანე გვენცაძისა, გიორგი მაკიშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ, ნესტორ წერეთლისა და მიხეილ იგნატიევისა, რომელთაც სიყალბე ჰბრალდებათ, და სხვებისა.

წერილი გურიიდან

მოუსავლობა

დადგა დრო, როცა გლეხმა წლის ნამოქმედარს თავი უნდა მოუყაროს. სოფლებში დიდი მოძრაობაა; ყველგან სტეხენ სიმინდს, ჰკრეფენ ლობს, სჭრიან ზამთრისთვის ჩალას და დიდის ჯაპან-წვალებით ეწევიან გაორკეცებულს შრომას. დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე მოისმის ურმების განუწყვეტელი ჭრიალი: ეზიდებიან მოწეულს ჭირნახულს. მაგრამ ამ მოძრაობას წინანდებური მხიარულება აღარ ეტყობა. დიდს თუ პატარას, ქალს თუ კაცს სახე ჩამოსტირის და ნაღვლიანად გამოიყურება. აღარ ისმის სიცოცხლით სავსე, კმაყოფილების გამომხატავი „ხელ-ხვავი“. ბედისაგან დევნილი მეურმე, ჭირ-ვარამის მოსაქარვებლად აღარ დაჰმღერის ჩვეულებრივს „ოროველას“ და წამ-და-უწუმ „აში, აშის“ ძახილში მწვავ ფიქრებს [illegible] ჯერ. მიზეზი ამ საერთო მდუმარებისა მოუსავლობაა. დიახ, წელს გურულები უკაცრავად გახლავართ მოსავალზე. ჯერ იყო და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ცოტა დაითესა. მაგრამ რომ მოველოდით, იმის მეოთხედიც ძლივს-ძლივობით მოდის. გასულს წლებს გწუწობდით, ვამბობდით, ცუდი მოსავალი იყოო, მაგრამ წელს კიდევ უარესს მდგომარეობაში ვართ. აი, სწორედ დღეს გვეთქმის: „კირიალესო, კიდო ვარესოო“. ძველს სიმინდს, თუ კი ვინმეს გააჩნდა, პეპელა გაუჩნდა და ერთობ გააფუჭა. ამიტომ სექტემბრის შუა რიცხვებიდან ხელოვნურად გამხმარს სიმინდს ჰფქვავენ და სჭამენ. სხვიმის კი გიორგობისთვის დამლევამდე ახალს მჭადს არა ხარჯავდნენ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მომავალ გაზაფხულიდან გურულებს უმჭადობა მოგველის. წლევანდლამდე გურულები წითელ ნუნუას შემწეობით ხან-და-ხან მაინც ივიწყებდნენ ჭირ-ვარამს და ეძლეოდნენ მხიარულებას, წელს ღვინოც მოგვესპო. მეტადრე შავის ზღვის პირად მდებარე ადგილებში წინანდელ მოსავლის მეათედიც არ მოსულა. არც საკვირველია ესა. ჩვენში სრულებით არ იციან ვენახის მოვლა; გამლილს დობილოში თუ მიურგეს ხეს ვაზი, მორჩა და გათავდა; ვენახი უზრუნველ-ყოფილად მიაჩნიათ. წავიდა ის დრო, როცა ბუნება თავის-თავად იძლეოდა ნაყოფს. აქამდე „ადესა“ მაინც ხარობდა, მაგრამ ეხლა ამასაც ნიადაგი წაუხდა. ყველანაირის მოსავლისაგან დაზარალებულ გურულებს ბლომად მოგვივიდა მხოლოდ ნიგოზი. „აგერ ოც წელზე მეტი იქმნება, რაც ჩვენში ასთე ნიგოზს არ მოუსხამსო“, ამბობენ. ერთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც გურიის სხვა-და-სხვა კუთხეში ღორის ჭირმა იჩინა თავი. ეხლა ჭირმა კარგა მოიდგა ფეხი და მუსრს ავლებს ღორებს. დაემართება თუ არა ეს ჭირი ღორს, უკანა ფეხები ეკეცება და რამდენსამე დღეში კვდება. მორჩენით 5%-ც ვერ რჩება. ამბობენ, ჭირიან ღორის ლეში ძაღლებსაცა ჰკლავსო. ნუ თუ არ შეიძლებოდა, მოეწვიათ ექიმი და მასთან დაევალებინათ სოფლელებისათვის, რომ მკვდარი ღორი მიწაში ჩაეფლათ. ჯერ-ჯერობით ზარალი ათასობითაა, ხოლო თუ ყურადღება არ მიაქციეს და ყველა სოფლებს მოედო, ათი-ათასობითაც იქმნება. თუმცა ხშირი წვიმა-ავდრები გურიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ხან-და-ხან ჩვენც ვხედავდით სპეტაკ-მტრედისფერს ცას და მოკაშკაშე ვარსკვლავებს. წელს კი, თითქო განგებას მოუსურვებია თავისუფლად არავინ ამოისუნთქოსო, დარსაც მოკლებულნი ვართ. მუდამ მოქუშული ცა, ქარ-ბუქი და ელვა-ქუხილი სწორედ რომ აუტანელი ხდება.

იასონ დონეშვილი

დაბა-სოფლები

დაბა საჩხერე (იმერეთი). როგორც ამას წინად მოხსენებული გვქონდა, საჩხერეში შესდგა ამხანაგობა, რომელმაც ფული გამოიღო და დააარსა წიგნთ-საცავ-სამკითხველო, შემდეგ წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების ვაჭრობაც დაიწყო. ამავე ამხანაგობამ ფული გამოიღო და დააარსა ხორცის დუქანი, რათა დაბისა და მახლობელ სოფლების მცხოვრებნი დაეხსნა თავგასულ ვაჭრების ხელიდან, რომელნიც გირვანქა ხორცს ხშირად 13—15 კაპეიკად ჰყიდდნენ. სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ძალიან სუსტად წავიდა ამხანაგობის საქმე, რადგან წევრებმა საკმაო ყურადღება ვერ მიაქციეს და დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ხორცის დუქანმა დიდი ტანჯვა-წვალება გამოიარა, ერთ თვე-ნახევრამდე იცოცხლა და შემდეგ განუტევა წამებული სული. ამის შემდეგ უფრო წათამამებულმა კერძო ვაჭრებმა ერთიორად წაუმატეს ხორცს ფასი.

ამხანაგობამ ვერც წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმე წაიყვანა რიგიანად. სამკითხველო საქეიფო დუქნებს შუაა მომწყვდეული და ძალიანაც რომ უნდოდეს მკითხველს სარგებლობა გაზეთებითა და წიგნებით, არ შეუძლიან, რადგან მოქეიფეთა და ბანქოს მოთამაშეთა დრიანცელი მოსვენებას არ მისცემს.

საჩხერემდის უკვე მოვიდა რკინის გზა და ერთად-ერთი იმედი იმით-და გვეძლევა, რომ რკინის გზის მოძრაობა ჩვენს ერთფეროვანს და დადარიბებულ ცხოვრებას ცოტა სულს ჩაუდგამს და გამოაფხიზლებს. ამ ჟამად გზას მხოლოდ აქაიქ ასწორებენ, მალე საჩხერის სადგურსაც ააშენებენ და ორი-სამი კვირის შემდეგ მატარებლების წესიერი მიმოსვლა დაიწყება.

საჩხერის მცხოვრებთა მშრომელ უმრავლესობის ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა მიწის მუ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2285.

შარბაა. ამ უკანასკნელ ხანებში, ცოტაოდნად მაინც, ხალხი მოადონიკრა ჭიათურაში შავის ქვის მუშაობამ, მაგრამ ამ ჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან შავი-ქვის მუშები და მწარმოებელნი სამის თვის წინად მუშაობის შეწყვეტისაგან. ჭიათურაში მცირედ დაიწყო მუშაობა, მაგრამ ჯეროვანი სიცოცხლე მაინც არ ეტყობა. წლის მოსავალი ჩვენსკენ ძალიან ნაკლები იყო თითქმის ყველაფრისა, ასე რომ ხალხს ნახევარ წლამდის ძლივს გაჰყვება სარჩო. ვენახებს სულ არ ბმია ყურძენი და სიმინდი, რაც მოვიდა, დიდ-ძალი გაუოხრდა ხალხს, რადგან გამუდმებულმა წვიმებმა გააფუჭა. ამ უსიამოვნო ამბებს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მეტად გავრცელდა ჩვენსკენ ცხენის ქურდობა. სიმინდის მოტეხისა და მინდვრების გაიალაღების შემდეგ პირუტყვი თავისუფლად გაუშვეს. ამით სარგებლობენ ქურდები და მუსრს ავლებენ მცხოვრებთ. ამ რამდენისამე დღის განმავლობაში ცხენები მოჰპარეს დიმიტრი, ვასილ, ვარდენ და მიხეილ მაჭავარიანებს, ბიჭია ბრეგვაძეს, ორს ებრაელს კაჟიაშვილებს, ევთიმე ლომერიძეს და სხვ. ამ უკანასნელმა თუმცა დაკარგული ცხენი იპოვნა, მაგრამ ქურდები ვერ აღმოუჩენიათ. ეს მეორე წელიწადია, საჩხერის კუთხეში მოქმედებს ერთი პატარა წრე ქურდ-ბაცაცა ყმაწვილებისა, რომელთაც ხელობად ცხენების პარვა გაუხდიათ. ხალხს თავისუფლად საქონლის ეზოში დამბა აღარ შეუძლიან და, მუდამ იმის ფიქრშია, ქურდები არ მოვიდნენ და არ წაიყვანონო.

27 სექტემბერს სოფელ დარკვეთში შემდეგი ამბავი მოხდა. ბოროტ-განმზრახველთ შეერჩიათ ისეთი დრო, როცა ამ სოფლის შეძლებული გლეხი ოტია გაფრინდაშვილი ქუთაისში წასულიყო. შინ დარჩენილა ოტიას 12—13 წლის ქალიშვილს და რძალს იმ დამეს ბიჭი წისქვილში გაესტუმრებინათ და იმის მოლოდინში სახლის კარები ღია დაეტოვებინათ. ამით უსარგებლნიათ ბოროტ-განმზრახველთ და ხუთი შეიარაღებული კაცი შესცვივნიან სახლში ქალებს. ყაჩაღებს მთლად გადმოუბრუნებიათ სახლი. უნახავთ 305 მანეთის ბანკის ბილეთები, აგრეთვე ფული, მოუხვეტიათ ჩოხები, ხალიჩები, ხანჯლები, ქუდები და რაც სათვალო ყოფილა და წაუღიათ. პოლიციამ ჯერ-ჯერობით ქურდებისა ვერა გაიგო-რა. 29 სექტემბერს კიდევ შემდეგი ამბავი მოხდა სოფელ პერევში. ამ სოფლის მცხოვრებთ გარსია ჩხიტუნიძეს და იმის სახლი-კაცებს საჩინო და ოტია ჩხიტუნიძეებს ერთმანეთში უსიამოვნება ჰქონდათ სასოფლო გზის გამო. ამ დღეს გარსია ჩხიტუნაძე ურმით ყანაში მინავალა. გზაზედ წამოსწევიან საჩინო და ოტია ჩხიტუნიძეები, რომელთაც ჩხუბის დროს მძიმედ დაუჭრიათ გარსია. დაჭრილის მორჩენა საეჭვოა. დამნაშავენი უკვე დააპატიმრეს.

სარაპნელი.

—

სოფ. ბუშატი (კახეთი). ეს პატარა სოფელი მდებარეობს თელავიდან 12 ვერსის მანძილზე. სოფელში ერთად-ერთი სამრევლო სკოლა არსებობს. ამ სკოლამ შარშან მთელი სოფელი ფეხზე დააყენა: „არ გვინდა სკოლა, არ მივიყვანთ ჩვენს შვილებს, წაიღეს ისევ უკან (მასწავლებელი ახლად დაუნიშნეს) მაგათი უჩიტელი, ჩვენს შვილებს სწავლა არ უნდათ და არც სადგომს მივცემთ და არც შეშასაო“. ისეთი ამბავი ასტყდა, რომ სამრევლო სკოლების საბჭოს თავმჯდომარე დეკ. ხელაშვილი და მეთვალყურე მ. შავლიაშვილი იძულებულნი შეიქმნენ სოფელში ჩამოსულიყვნენ და ადგილობრივ აეხსნათ სოფლელთავის საქმის ვითარება და რჩევა-დარიგება მიეცათ, მაგრამ ვერც იმათმა დარიგებამ გასჭრა. აქეთ ასეა: თუ ერთი უარი თქვეს, ვეღარ გადაათქმევინებთ. ახლად დანიშნული მასწავლებელი აიძულეს წასულიყო, მაგრამ შემდეგ ისევ გამოჰგზავნეს მასწავლებელი და ეხლა სწავლა სწარმოებს...

1 ოქტომბერს ამ სოფელში სვეტი-ცხოვლობა იციან. ამ დღისთვის მცხოვრებნი ემზადებიან სტუმრების დასახვედრად. ბევრნი რამდენისამე დღით მოდიან სტუმრად. ამ დღისთვის მუდამ ცოტა თუ ბევრი მაჭარი უყენიათ გლეხებს. წელს, როგორც ყოველთვის, ბევრი ხალხი შეიყარა.

დიმიტრაშვილი

—

მექვენა (ლეჩხუმი). 25 სექტემბერს რიონი ისე ადიდდა, რომ დერჩის ხიდი წაგვართვა. ეს ხიდი ხაზინის ხარჯით იყო გაკეთებული; დაჯდა რვა ათასი მანეთი. ამ შემთხვევის გამო საზოგადოება დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ორხვის ხიდი გვქონდა 8 ვერსზე, მაგრამ ეს ხიდი სრულიად უვარგისია. გასვლა შეუძლებელია· კარგიც რომ იყოს, სიშორის გამო ჩვენთვის უსარგებლოა. მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა უხიდობას ადგილობრივ სკოლაზე. ამ სკოლაში სამოცდა-ათ მოსწავლეზე მეტი იყო და ახლა 40—45 მოსწავლის მეტი აღარ დადის. უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა გაღმა დარჩა. არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაშია უხიდობისა გამო ახლად გახსნილი აფთიაქი ახვლედიანისა. თუ რამე შემოსავალი ჰქონდა, ისიც თითქმის მარტო გაღმელებისაგან, ახლა კი ხელ-გულ დაკრებილი ზის თავის აფთიაქში. კარგი იქნება, რომ ამ გაჭირვებულ მდგომარეობას მიაქცევდნენ ყურადღებას. თუ მეტი არა, ისიც კარგი იქმნება, რომ ძველებურად დროებით ბონდის ხიდი გააკეთებინონ. ადგილობრივი მამასახლისი ამგვარის ხიდის გაკეთებაზე უარს ამბობს, ვითომ-და იმ მიზეზით, რომ სახიფათოაო. ბონდის ხიდი აქ ხშირად და დიდის ხნობითაც ყოფილა, მაგრამ უბედურება არა მომხდარა-რა. საზოგადოება მეტად ღარიბია და წაღებულ ხიდისთანას გაკეთებას ვერ შესძლებს. ვიმეორებ, საზოგადოება ბევრნაირად დიდს გაჭირვებაშია და დაჩქარებით ზომების მიღება ძლიერ საჭირო და მეტად სასარგებლო იქმნება.

ქსენაფონტ მიქაუტაძე

—

სოფ. ფშაველი (კახეთი). ფშავლის თავში, ასე 1—1½ ვერსზე, ტყეში, მდებარეობს ეკკლესია, რომელსაც წყაროს თავს უწოდებენ. ეს ეკკლესია მრავალ მლოცავს იზიდავს მაზრიდან და თელავიდანაც, როგორც ქართველებს, ისე სომხებს. ამ სალოცავში სიყრმიდანვე შეკედლებულა ლალისყურელი გლეხი ხატელაშვილი და მთელი თავისი სიცოცხლე ეკკლესიისთვის შეუწირავს. მუდამ ჟამს იქ იმყოფებოდა, უვლიდა ეკკლესიას და ამშვენიერებდა იქაურობას, რისთვისაც ამ კაცს მონას უწოდებდნენ. აი, ეს მონა 25 სექტემბერს ღამე ვიღაც ბოროტ-კაცებს მოეკლათ თოფით და ეკკლესია გაეძარცვათ, თუმცა ფასიანი ეკკლესიაში არა მოიპოვებოდა-რა. როგორც გადმომცეს, წაეღოთ ორი სანთლის შანდალი, ალსავლის კარების ფარდა და სხვა უმნიშვნელო ნივთები. ალბად, ეგონათ, ეკკლესიაში ძვირფასი ნივთებიაო და იმისთვის მოჰკლეს გლეხი.

ვან—ილი

—

დაბა ონი (რაჭა). სექტემბრის ბოლო რიცხვებში დიდი წვიმა მოვიდა აქეთ. 14 საათს განუწყვეტლივ მოდიოდა წვიმა; ბოლოს ისეთი კოკისპირული დაასხა, რომ ბევრს შიშის ზარი დასცა. წამოვიდა გორა-ქედებიდან წვიმის რუები და შეუერთდა ორ პატარა მდინარეს ჯეჯორს და ხევორს. ხევორმა მოიტაცა ორი წისქვილი და ორიც ადგილობრივ დაანგრია. დაანგრია აგრეთვე ორი ხიდი. ჯეჯორი არც ხე-ტყეს აკლებდა ხელს და ეზიდებოდა უმოწყალოდ. ამ ხე-ტყეს დასეოდნენ სოფელ მედნის მცხოვრებნი და გამოჰქონდათ წყლიდან. ორი ძმა პატარა ბიჭებიც იღებდნენ მონაწილეობას. უეცრად მოუწყდათ ის ბეგი, რომელზედაც იდგნენ ძმები, პავლე ბერიშვილის ობლები, და ჩაცვინდნენ წყალში. უფროსს მოასწრეს შველა და ამოიყვანეს წყლიდან, უმცროსი-კი წყალმა რიონში შეითრია. თორმეტის ვერსის დაშორებით ჰნახეს დამხრჩვალის გვამი.

ვასილ ხი-ხონელი

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ოქტომბერი

კალუგა. ჟიზდრის საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ საერო განათლების მინისტრის წინაშე, რომ სოფლის სახალხო სკოლებში სწავლების ვადა გაადიდოს ოთხს წლამდისო.

ორიოლი. ბოლხოვის საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ ბოლხოვისა და ორიოლის რკინის გზათა შეერთების თაობაზეო. კრებამ აგრეთვე სურვილი გამოსთქვა, საარჩევნო ცენზი 100 დესიატინამდე შემცირდეს.

პოლტავა. საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, საერობო კრებაზე მონაწილეობის მიღებისათვის დაწესდეს ცენზი 100 დესიატინა ან 15,000 მანეთი.

ფეროლი. ინგლისის ორი ჯავშნიანი გემი აღლუმის დროს ერთმანეთს დაეჯახნენ. ეს ორი გემი აქაურ ნავთ-სადგურში სხვა გემებმა მოიყვანეს.

რომი. პაპმა სტატს-სეკრეტარად დანიშნა მერრი-დელ-ვალი.

კონსტანტინეპოლი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, ევროპის ოთხს ვილაეტში გადამწვარი სოფლების სკოლებისა და ეკკლესიების აღსადგენად გადასდონ 50,000 ლირა.

ვენა. ბელგიის მეფე პარიზში გაემგზავრა.

პეკინი. ინგლისის მისიის აფეთქება კი არა, გაქურდვა ნდომებიათ. ქურდებმა წაიღეს საწყობიდან სხვა-და-სხვა ნივთები, რომლის წაღება შორს ძლიერ საძნელო იყო. ამისთვის ააფეთქეს ნაწილი მოპარულ ნივთებისა.

კონსტანტინეპოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა მიიღეს რეფორმათა პროექტი მაკედონიისათვის. ყველაზე საინტერესო პროექტში ის ადგილი არის, რომელიც რეფორმების განხორციელების თვალ-ყურის დევნებას ეხება. ამ ნოტას ორივე ელჩი სადღესასწაულო აუდიენციის დროს პორტას გადასცემს. პროექტი დაწვრილებით არის შემუშავებული. კონტროლის ღონისძიებათ ჯერ არ აცხადებენ.

7 ოქტომბერი.

ხარკოვი. ქალაქის საავადმყოფოსთან გამართეს საქალებო კურსები ავადმყოფთა მოვლისა და მასაჟის შესასწავლად.

ორიოლი. 6 ოქტომბერს თოვლი მოდიოდა, თან ქუხილი და ელვა იყო.

სასნოვიცი. საერობო კრებამ დაადგინა, მასწავლებელთ მოუმატონ ჯამაგირი და სკოლებში დაჰკიდონ იმ მასწავლებელთა სურათები, რომელთაც 25 წელიწადზე მეტი უმსახურნიათ.

კალუგა. ჟიზდრის საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ ხაზინამ ყოველ წლივ გვაძლიოს 11,000 მანეთი სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის ჯამაგირის მოსამატებლადო.

ბაგრა. გამოფენის დროს გაიმართა მთიბავთა პირველი გაჯიბრება მათ უმაღლესობათა და მიწათ-მოქმედების მინისტრის თანადასწრებით. გაჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 700 მუშ. შვიდმა მიიღო პრიზი.

ვიაზნიკი. საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი ცენზის შემცირების შესახებ. საერობოაგრონომიული ორგანიზაციის საკითხი გადაწყდა იმ პირობით, რომ მოიწვიონ აგრონომი სასოფლო-სამეურნეო საწყობების გასამართავად.

მოსკოვი. საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, დაარსდეს სასკოლო საბჭო და წევრებად ინიშნებოდნენ ხმოსნები, მზრუნველები და მასწავლებლები.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ ამტკიცებს, საჭირთა ჩინეთის გზის გამონაწილება და გზის მმართველად ერთის პირის დანიშვნა. აგრეთვე ამტკიცებს, დაინიშნოს გუბერნატორი ორის თანაშემწით ვიცე-გუბერნატორის უფლებით სამოქალაქო ნაწილის სამართავად; სპეციალური პოლიცია კი გამოიყოს განსაკუთრებულ უფროსით, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მეფის მოადგილესო.

სოფია. ესკი-ზაგრიდან ოპოზიციის მეთაურნი გეშოვი და დანევი დაბრუნდნენ სოფიაში. როგორც ამბობს დანევი, მას მოჰკლავდნენ, რომ არ დამალულიყო. სამი სახლი, რომელზედაც ხალხმა ეჭვი აიღო, შიგ დანევი იმალებაო, დაანგრიეს. 5 ოქტომბერს შეტაკების დროს 30 კაცი დასჭრეს. ამ შემთხვევამ ოპოზიციის კრებაზე მწვავე კამათი გამოიწვია. კრებამ დაადგინა, რომ ოპოზიციის მომხრენი მოვალენი არიან შეასრულონ თაისი მოვალეობა ბოლომდის მიუხედავათ ტერორისა, რომლითაც აშინებენ მათ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 3 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,60	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99 /2	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	446	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	336½	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	285	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	93¾	„
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	91¼	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	193	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელი საზოგადოება იწვევს იმათ, ვინც ამ საზოგადოებას მიაწვდის: კომბოსტოს—8000 ფუთს, კარტოფილს — 2500 ფუთს, ფქვილს—1400 ფ., ადგილობრივ ყველს—400 ფ., ლობიოს—500 ფ. განცხადება უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა. მიხეილის პროსპ. ს. ალელოვისა, № 162. (3—163—1)

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **სალამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

სიცოცხლისა და შემოსავლის დამზღვევ

საგენერალო საზოგადოების

ამიერ-კავკასიის ოლქის გამგეობა (ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახ. თქოევისა, ტელეფ. № 429) აუწყებს ყველას, რომ საზოგადოების მთავარ აგენტებად არიან:

ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიაში —ალექსანდრე იოსების ძე კრინიცკი (ქუთაისი, ორპირის ქ., სახ. დარახველიძისა).

ბათუმსა და ბათუმის ოლქში მანუკ სიმონის ძე ჩილინგარიანი (ბათუმი, კანტ. ძმ. ჩილინგარიანებისა, მარ. პრ., საკ. სახლი.)

(2—162—2).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

კრემ ამიკოს (CRÉME AMYKOS)

ჰიგიენური საშუალება პირის კანისათვის

იხმარება პირის კანის გასაწმენდად მუწუკებისაგან, მეჭეჭისაგან და სხვ. უმთავრესად გამოსადეგია არტისტებისთვის გრიმის მოსპობის შემდეგ სახმარებლად, რადგან კარგად ასუფთავებს პირისახეს გრიმისაგან.

ფასი ერთის ბანკისა 1 მ. 25 კ.; 2 ბანკის ფასი გაგზავნით 3 მან., უნდა გამოიწეროთ პირდაპირ გამომგონისაგან: სავაჭრო სახლი, პარფიუმერიის ლაბორატორია ი. გოლლენდერ, პეტერბურგი, რაზიეზჟაია, № 13

(4—6.—2)

Дозв ценз. Тифлисъ 7 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).